

## ტყუილ-ისა და ცუდ-ის ურთიერთმიმართება

### ქართულსა და მეგრულ-ლაზურში

თანამედროვე ქართულში **ტყუილი** და **ცუდი** ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულად განიმარტება: **ტყუილი** „1. რაც მართალი არ არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, – სიცრუე. 2. ცრუ, ყალბი, მოგონილი. 3. საფუძველს მოკლებული; უშედეგო, ამაო, ფუჭი“ (ქეგლ VI: 1374). **ცუდი** „1. უარყოფითი თვისების მქონე, – უვარგისი, უხეირო, მდარე. 2. არაწესიერი, ზნეობრივად უარყოფითი. 3. ძვ. ამაო, ფუჭი“ (ქეგლ VIII: 665)

ძველი ქართული ენის ლექსიკონში **ტყუ(ვ)ილი** „ტყუობა, ცრუობა“ (აბულაძე 1973: 415), საბასთან კი **ტყუვილი** ბუდის სახით არის წარმოდგენილი და რამდენიმე სიტყვას შეიცავს: **ტყუვილი** განიყოფის სამად: ცრუობად, ცილად და ჭორად. **სიცრუ(ვ)ე** არს სრულიად ტყუილი იყოს; **ცილი** არს შეწამებული და მსგავსი ტყუ(ვ)ილისა; ხოლო **ჭორი** არს, რა ამბავი გაისმას და ამბ(ვ)ის მომღები არა საცნაურ იყოს და არცა ვინ ჰამბ(ვ)ისა მის ჭემმარიტობა იცოდეს“ (საბა 1993: 151); **ცუდი** კი ასეა განმარტებული: **ცუდი** „ცალიერი“, „ამაო“, „ამაოება“, ფუჭი, ცრუ, უქმი, „უსამართლო“ (აბულაძე 1973: 520), საბას მიხედვით კი განიმარტება, როგორც „ამაო, გინა ბედიით“ (საბა 1993: 342). როგორც ჩანს, ძველ ქართულში ამ სიტყვათა სემანტიკურ თანხვედრასთან გვაქვს საქმე.

საინტერესოდ გვეჩვენება **ტყუილი** ≈ **ცუდი** სიტყვების სემანტიკის გადანაწილება მეგრულ-ლაზურში.

ლაზურში ტყუილი გადმოიცემა შემდეგი სიტყვებით:

**მცუდი / ცუდი** (მარი 1910: 171, 214), მისგანაა მიღებული: **მამცუდალე** „მატყუარა“ (ქლენტი 1938: 192), **მცუდელა** „მატყუარა“ (ქუთელია 2005: 127), **ცუდელა** „მატყუარა“, **მამცუდალე დუნდა** „წუთისოფელი, ზედმ. „მატყუარა ქვეყანა“. **მა მცუდი ნა უარ ზოპონ, მუთე ოხოზოწონა?”**-**მა** „მე, ტყუილს რომ არ ამბობ, როგორ მივხვდეო?“ (დიუმეზილი 2009: 140), **ქომოლი ჭუტა ორამ-ქულე მცუდიში დოღურუ** „ქმარი ცოტა ხანში ვითომ (ზედმ. „ტყუილად“) მოკვდა“, **გიდი მცუდალა! სახთეჟაჟ სენი!**“-**მა** **დო ოხოჯა ოხოდის გეტკოჩუ-დორენ** „წადი, მატყუარა, ცრუო“ და ცოლი სახლიდან გაუგდია“ (დიუმეზილი 2009: 212).

**ნომლორდე** „მოტყუება, მატყუარა“ (მარი 1910: 174), **ოღერდინუ** „მოტყუება“ (ქუთელია 2005: 162) **ჰემორას აჟლიაჟა მოღერდუ დო შური-მუში ქომოღლუ** „მაშინ ურჩხული მოტყუვდა და თავისი სული გამოიტანა“ (დიუმეზილი 2009: 140), **დუნდას მუ ეენ ჰა თოქმალთენ კუჩხე-ჩქიმიშე მოზოდონამ**“-**მა** **დო ხანჯი მოღერდინუ-დორენ** „ქვეყანაზე რაც არის, ამ ჩაქუჩით ჩემს ფეხებთან მოვიტანო“, – და მექარვასლე მოუტყუებია“ (დიუმეზილი 2009: 186).

იმავე მნიშვნელობით ლაზურში გვხვდება თურქულიდან შეთვისებული სიტყვები: **ინქმარი** (თ.-არ. inkâr) „უარი, ტყუილი“ (ყიფშიძე 1911: 27), **მუზევირი** (თ. müzevir) „ცრუ, მატყუარა“ (ჯიქია 1975: 61). საკუთრივ ქართ. **ტყუილი** : ზან. (მეგრ.) **ტყურა** ლაზურში არ ჩანს.

**ცუდის** სემანტიკის გადმოსაცემად ლაზურ ლექსიკონებში ძირითადად ნასესხობები გვხვდება: **ზადი / ბეათი / ბიათი / პიათი / პატი** „ცუდი, ბოროტი“ (მარი 1910: 129, 179, ქუთელია 1982: 78): **ოხოჯა, პატი სანჯი მილუნ, ბეჟი და ბღურუ, იდი ხოჯა ქომოღონი**“-**მა** „ქალო, ცუდი ავადმყოფობა მაქვს, იქნება ვკვდები, წადი, ხოჯა მომიყვანეო“ (დიუმეზილი 2009: 212);

**ხავი / ხაი** „ავი, ცუდი“ (მარი 1910: 228; ქუთელია 2005: 55); **ხიზანი** „ცუდი“ (მარი 1910: 232); **ფერიშანი** (თ.-სპ.) „ცუდი, გაფუჭებული“ (ყიფშიძე 1911: 30); **ფინთი** „ცუდი“ (ჟღენტი 1938: 209).

მეგრულში **ტყუილის** გადმოსაცემად გამოიყენება **ტყურა**, ამ სიტყვისგანაა წარმოქმნილი **ტყურაია** „ცრუ, ამაო“, **ტყურაფა** „გატყუება“, **მეტყურე**, **მეტყურენჯი** „მატყუარა“, **სიმტყუნე** „ტყუილი“ (ყიფშიძე 1914: 332), **ტყუანი** „მტყუანი“, **ტყუთე-ტყურელო** „ტყუილუბრალოდ“, **ტყურანჯია** „მატყუარა“, **ტყურაფილი** „მოტყუებული“, **ტყურება** „ტყუილის თქმა“ (ქაჯაია 2002: 50).

„მოტყუების“ აღმნიშვნელია მეგრული **ღორება** (ყიფშიძე 1914: 351), მისგან იწარმოება სიტყვათა მთელი რიგი: **ღორებული** „მოტყუებული“ (ყიფშიძე 1914: 352), **მაღორებელი** „მომტყუებელი“, **ოღორებელი** „მოსატყუებელი“, **ნაღორებუ** „მონატყუები“, **ნაღორებუელი** „მოტყუების საფასური“, **უღორებუ** „მოუტყუებელი“ (ქაჯაია 2002: 191). საბასთან **მოღორება** „მოტყუება, მოცთუნება“ (საბა 1991: 510), თანამედროვე ქართულმა **მოღორება** ამ მნიშვნელობით არ იცის. „მოტყუების“ მნიშვნელობით შემოინახა რაჭულმა დიალექტმა (დლონტი 1974: 383).

„ცუდი“ მეგრულში ქართული **გლახა**-თი გადმოიცემა (ყიფშიძე 1914: 218). ი. ყიფშიძეს მეგრულ ლექსიკონში კი შემოაქვს სიტყვა **ცუდი** „ცუდის, ამაოს“ მნიშვნელობით (ყიფშიძე 1914: 371) და მიუთითებს, რომ ქართულიდანაა შემოსული, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ეს სიტყვა არ გვხვდება.

ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ძველი ქართულის მონაცემებთან უფრო ახლოს დგას ლაზური, რომელმაც სიტყვა **ცუდ**-ის ოდინდელი მნიშვნელობა შეინარჩუნა, თუმცა ეს ფორმა დაჩნდება მეგრულ **გაცუდება**-ში, რომელიც „გაწიბილებას, მოტყუებას“ ნიშნავს. შდრ. **გაცუდუ** „მოტყუვდა“, **გაცუდუ** „მოატყუა“, **გაცუდებული** „მოტყუებული“. საინტერესოა, რომ სვანურმა **ცჷიდ / ცუდ** „ფუჭი, ტყუილი, ამაო“ სემანტიკით შემოინახა (თოფურია 2000: 840)

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ მეგრულ-ლაზურში **ტყუილი** ≈ **ცუდი** სიტყვები სემანტიკის თვალსაზრისით ქართულთან მიმართებაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ შრეს გამოხატავს - ერთი მხრივ, ლაზურმა შეინარჩუნა **ცუდ**-ის ოდინდელი სემანტიკა, მეორე მხრივ, საბას მიერ მითითებული **მოლორება** აშკარა ზანიზმია.

მითითებული ლიტერატურა:

- აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი
- დიუმეზილი 2009** – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, ლაზური ტექსტების ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მანანა ბუკიამ, თბილისი
- თოფურია 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- მარი 1910** – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.
- ჟღენტი 1938** – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი
- საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი
- საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964

ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი

ყიფშიძე 1911 – И. А. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке. С.-Пб.

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб

ჯიქია 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან.  
4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ  
შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი

Manana Bukia

## **Interrelation of Tkuili (Lies) and Tsudi (Bad)**

### **in Georgian and Megrelian-Laz**

#### **Rezume**

In the article it is discussed the semantic field of tkuili (lies) and tsudi (bad) and their spreading in Kartvelian languages.

It seems that the word tsudi (bad) has preserved its oldest meaning, but in Megrelian the use of it is limited.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VIII, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2010-2011, გვ. 7-11

Proceedings of Sokhumi State University, VIII. Humanities, Social and Political Sciences Series. Tbilisi, 2010-2011, p. 7-11